საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

ბრძანება

N 983-03
22/07/2024

ქ. თბილისი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის კერძო (ბიზნეს) სამართლის, საჯარო სამართლისა და პოლიტიკისა და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე რეგისტრაციის, მიღებისათვის შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების, მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვლის, დოკუმენტის მიღების, შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების, ასევე სააპელაციო პროცედურებისა და ვადების, შედეგების გამოცხადების და ხელშეკრულების გაფორმების თარიღების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რექტორის 2024 წლის 18 ივლისის N 971-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის, საჯარო სამართლისა და პოლიტიკისა და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე (შემდგომში: სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე) სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატმა რექტორის 2024 წლის 18 ივლისის N 971-03 ბრძანებით განსაზღვრული რეგისტრაცია გაიარონ 2024 წლის 12 აგვისტოდან 30 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით, რეგისტრაციის ბაზის საშუალებით შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters
2. რეგისტრაციის ელექტრონულ ბაზაში სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) პირადობის მოწმობის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) 2024 წლის სამაგისტრო საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;
გ) ფოტოსურათი;
დ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხოეთში მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის ასლი;
ე) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, შესაძლოა წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის ასლი, სადაც მითითებული უნდა იყოს მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი.
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
3. <u>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისა და სააპელაციო განხილვების</u> ჩატარების თარიღებად განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი, დამატებითი ინფორმაცია კონკრეტული გამოცდის ჩატარების თარიღის შესახებ მაგისტრანტობის კანდიდატთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის მითითებით განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე.
4. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდეს შემდეგი წესით:
ა) კერძო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა: კაზუსი, ესე, ინგლისური ენის გამოცდა B2 დონე;
ბ) საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა: კაზუსი, ესე, ინგლისური ენის გამოცდა B2 დონე;
გ) სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა: კაზუსი, ინგლისური ენის გამოცდა B2 დონე;
5. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდეს A405 A408, A409, A305, A307, A206; B201, აუდიტორიებში, კონკრეტული გამოცდების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 31აგვისტოსი;
6. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაში მაგისტრანტობის კანდიდატთა პირველადი შეფასებები განთავსდეს, მაგისტრანტობის კანდიდატთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის მითითებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე 2024 წლის 7 სექტემბერს.

7. მაგისტრანტობის კანდიდატთა **<u>სააპელაციო განაცხადები</u>** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგების შესახებ უნდა იქნეს წარდგენილი სამართლის სკოლის ელექტრონულ მისამართზე lawfaculty@iliauni.edu.ge 2024 წლის 9 და 10 სექტემბერს.

8. სააპელაციო განაცხადების განხილვა მოხდეს 2024 წლის 11-12 სექტემბერს.

9. 2024 წლის 13 სექტემბერს, უნივერსიტეტის ვებგვერდზე ერთი თვის ვადით (13 ოქტომბრამდე) განთავსდეს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები - აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, მხოლოდ მაგისტრანტობის კანდიდატთათვის რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის, შეფასების, სკოლის და პროგრამის მითითებით;

10. იმ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, დაიწყოს 2024 წლის 14 სექტემბრიდან და გაგრძელდეს 18 სექტემბრის ჩათვლით (მათ შორის 14, 15, 16, სექტემბერი ძირითადი სია, 17, 18 სექტემბერი სარეზერვო სია), 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (18 სექტემბერს 10:00 საათიდან 17:00 საათამდე). ხელშეკრულებების გაფორმება განხორციელდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის A407 აუდიტორიაში (მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 32).

11. მაგისტრანტობის კანდიდატმა ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, ასევე, თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი:

ა) პირადობის მოწმობის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი.

გ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობა, სადაც მითითებულ უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს

კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;
დ) ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით საბუთების მინდობილი პირის მიერ წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა;
ე) 1 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4.
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლო; (მხოლოდ ვაჟებისთვის);
12. იმ შემთხვევაში თუ მაგისტრანტი ამ ბრძანების მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს, მისი ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ძალადაკარგული იქნება გამოცემის მომენტიდან;
13. უნივერსიტეტის კანცელარიას ეთხოვოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, სამართლის სკოლას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს.

გიორგი პაპუაშვილი

დეკანი